

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 იანვრის №01-06/01 მორიგი
სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. „„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევამე

2. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი მამია გვარიშვილი
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ 2019 წელს პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ეკატერინე ქაჯაია
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
2020 წლის -- იანვარი
დაბა ქედა

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევამე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის -- თებერვალი.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის -- თებერვალი.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.ge).

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

ც ნ ო ბ ა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევამე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული);.

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2020 წლის -- თებერვლის დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2020 წლის -- თებერვლის დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2020 წლის -- თებერვალი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება №--
2020 წლის -- იანვარი
დაბა ქედა

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 25/08/2017; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016222) შეტანილი იქნას ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ნოტარიულად დამოწმებული ამხანაგობის წესდების ასლი ან საერთო კრების ოქმის დედანი კრების თავმჯდომარის ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერით (ამხანაგობის წესდების არარსებობის შემთხვევაში);“

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საერთო კრების ოქმის დედანი კრების თავმჯდომარის ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერით;“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

განმარტებითი ბარათი

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილების შესაბამისად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების რეგისტრაციის პროცედურის გამარტივება.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

1. მოქმედი დადგენილების პირველი მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამხანაგობის აღრიცხვაზე აყვანისათვის ამხანაგობის თავმჯდომარემ ან საამისოდ უფლებამოსილი პირმა ქედის მუნიციპალიტეტის მერს უნდა მიმართოს განცხადებით და წარუდგინოს სხვა საჭირო დოკუმენტებთან ერთად „ნოტარიულად დამოწმებული ამხანაგობის წესდების ასლი ან ნოტარიულად დამოწმებული ამხანაგობის საერთო კრების ოქმის დედანი (ამხანაგობის წესდების არარსებობის შემთხვევაში):“ დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტის შესაბამისად, ამხანაგობის აღრიცხვაზე აყვანისათვის ამხანაგობის თავმჯდომარემ ან საამისოდ უფლებამოსილი პირმა ქედის მუნიციპალიტეტის მერს უნდა მიმართოს განცხადებით და წარუდგინოს საჭირო დოკუმენტებთან ერთად „ნოტარიულად დამოწმებული ამხანაგობის წესდების ასლი ან საერთო კრების ოქმის დედანი კრების თავმჯდომარის ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერით (ამხანაგობის წესდების არარსებობის შემთხვევაში):“ გამომდინარე იქედან, რომ ნოტარიულად დამოწმებული საერთო კრების ოქმი გულისხმობს ნოტარიუსის კრებაზე დასწრებას, აღნიშნული ართულებს ამხანაგობის კრების ჩატარების, იწვევს დამატებით ხარჯებს და დროს. წარმოდგენილი ცვლილების თანახმად ამხანაგობის მერიაში რეგისტრაციისათვის საკმარისი გახდება ამხანაგობის სადამფუძნებლო კრების ოქმის წარმოდგენა, რომელზეც მხოლოდ კრების თავმჯდომარის ხელმოწერა უნდა იყოს ნოტარიულად დამოწმებული.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ცვლილების შემდეგ, ოქმზე ხელმოწერი პირის ხელმოწერა დადასტურდება

ნოტარიულად, ნაცვლად ოქმის ნოტარიულად დადასტურებისა, რაც იწვევდა დამატებით ხარჯებსადა დროს:

„მუხლი 4

1. ამხანაგობების აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შესატანად, ამხანაგობის თავმჯდომარე ან საამისოდ უფლებამოსილი პირი მერიას მიმართავს განცხადებით, რომელსაც თან ერთვის:

„ა) საერთო კრების ოქმის დედანი კრების თავმჯდომარის ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერით;“

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ამირან დევაძე.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება

**2020 წლის -- იანვარი
დაბა ქედა**

**ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული
ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის
განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმების ოდენობა თანახმად დანართი №1-სა.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრისა და თანმდევი სამართლებრივი შედეგების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 29 ივნისის №73 განკარგულება.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

**ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, სპორტული
ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმების ოდენობა**

1. სპორტის სფეროში გამართული ღონისძიებების დაფინანსების ნორმები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) დღიური კვების თანხა:

ა.ა) სპორტსმენები – 15 ლარი ერთ კაცზე;

ა.ბ) მწვრთნელები – 15 ლარი ერთ კაცზე;

ა.გ) მსაჯები - 15 ლარი ერთ კაცზე;

ა.დ) ტექნიკური პერსონალი – 10 ლარი ერთ კაცზე;

ა.ე) სამედიცინო პერსონალი – 10 ლარი ერთ კაცზე;

2. შიდა ღონისძიებებზე – ქვეყნის შიგნით, ეროვნული შეჯიბრებებისა და სასწავლო – საწვრთნო შეკრებებზე სპორტული დელეგაციის საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯი დღე-ღამეში ერთ კაცზე განისაზღვროს არაუმეტეს 50 ლარისა.

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის შესახებ.

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრისა და თანმდევი სამართლებრივი შედეგების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 29 ივნისის №73 განკარგულების სამართლებრივი საფუძველის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრა.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრისა და თანმდევი სამართლებრივი შედეგების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 29 ივნისის №73 განკარგულების სამართლებრივი საფუძველის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა და სწორედ ამ მიზნით ახლიდან ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრა და დამტკიცება შემდეგი სახით, კერძოდ: ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმების ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

1. სპორტის სფეროში გამართული ღონისძიებების დაფინანსების ნორმები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) დღიური კვების თანხა:

ა.ა) სპორტსმენები – 15 ლარი ერთ კაცზე;

ა.ბ) მწვრთნელები – 15 ლარი ერთ კაცზე;

ა.გ) მსაჯები - 15 ლარი ერთ კაცზე;

ა.დ) ტექნიკური პერსონალი – 10 ლარი ერთ კაცზე;

ა.ე) სამედიცინო პერსონალი – 10 ლარი ერთ კაცზე;

2. შიდა ღონისძიებებზე – ქვეყნის შიგნით, ეროვნული შეჯიბრებებისა და სასწავლო – საწვრთნო შეკრებებზე სპორტული დელეგაციის საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯი დღე-ღამეში ერთ კაცზე განისაზღვროს არაუმეტეს 50 ლარისა.

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის პროექტის შესაბამისად ხდება დამტკიცებულ „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ერთიანი ნორმის ოდენობის განსაზღვრისა და თანმდევი სამართლებრივი შედეგების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 29 ივნისის №73 განკარგულების ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, რომელიც აღნიშნული განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება ხდება.

ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რადგან სამართლებრივად დროულად მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი მამია გვარიშვილი.

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

**2020 წლის -- იანვარი
დაბა ქედა**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის მიერ 2019 წელს პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ცნობად იქნას მიღებული ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის მიერ 2019 წელს პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების შესრულების შესახებ ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.

2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის მიერ 2019 წლის სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის, სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ წლიური ანგარიში

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 01

პროგრამის დასახელება:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

დაწყება-01 იანვარი 2019 წელი

დამთავრება- 31 დეკემბერი 2019 წელი

პროგრამის მიზანი:

ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, საზოგადოების აქტიური ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სპორტული მიღწევების გაუმჯობესება

პროგრამის აღწერა:

სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა;

პროგრამის ბიუჯეტი

56 190 ლარი

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

მუნიციპალიტეტში გაზრდილია საზოგადოების ჩართულობა სპორტულ ცხოვრებაში, გაზრდილია ქედელი სპორტსმენების მიღწევები.

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 01 02

ქვეპროგრამის დასახელება:

სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა

არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ არა

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური

დაფინანსების წყარო

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	56 190
სახელმწიფო ბიუჯეტი	0
სულ ქვეპროგრამა	56 190

ქვეპროგრამის მიზანი:

სპორტის ცალკეული სახეობების პოპულარიზაცია და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობით ადგილობრივი სპორტსმენების ოსტატობის დონის ამაღლება.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (2018 წლის 28 დეკემბრის №49 დადგენილება) N49 დადგენილებით დამტკიცებულია სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებულია შემდეგი ღონისძიებები:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდების მონაწილეობა „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019“-ში, დაიხარჯა 3749.90 (სამიათასშვიდასორმოცდაცხრა ლარი და 90 თეთრი) ლარი.

ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019-ის შესარჩევი მუნიციპალური თამაშები სპორტის შემდეგ სახეობებში: მაგიდის ჩოგბურთი (ვაჟები, გოგონები), გაიმარჯვა ვაიოს საჯარო სკოლის გუნდმა, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო გამარჯვებული გუნდების

(I,II) დაჯილდოება (თასი, მედალი, სიგელი, მაისური და შორტი(ლოგო, წარწერა)), დაიხარჯა 559,95 ლარი, კალათბურთი (ვაჟები, გოგონები), ვაჟებში გაიმარჯვა სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის გუნდმა, ხოლო გოგონებში დაბა ქედის საჯარო სკოლის გუნდმა, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო გამარჯვებული გუნდების (I,II,III) დაჯილდოება (თასი, მედალი, სიგელი, მაისური და შორტი(ლოგო, წარწერა)) და მსაჯების კვების დღიური ნორმა, დაიხარჯა 629,99 ლარი, მინი ფეხბურთი, გაიმარჯვა დაბა ქედის საჯარო სკოლის გუნდმა, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო გამარჯვებული გუნდების (I,II,III) დაჯილდოება (თასი, მედალი, სიგელი, მაისური და შორტი(ლოგო, წარწერა)) და მსაჯების კვების დღიური ნორმა, დაიხარჯა 559,99 ლარი, ფრენბურთი, (ვაჟები, გოგონები) ვაჟებში გაიმარჯვა დანდალოს საჯარო სკოლის გუნდმა, ხოლო გოგონებში სოფელ ცხმორისის საჯარო სკოლის გუნდმა, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო გამარჯვებული გუნდების (I,II,III) დაჯილდოება (თასი, მედალი, სიგელი, მაისური და შორტი (ლოგო, წარწერა)) და მსაჯების კვების დღიური ნორმა, დაიხარჯა 999,98 ლარი, მხიარული სტარტები (მომრავი თამაშები) გაიმარჯვა დაბა ქედის საჯარო სკოლის გუნდმა, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო გამარჯვებული გუნდების (I,II,III) დაჯილდოება (თასი, მედალი, სიგელი, მაისური და შორტი(ლოგო, წარწერა)) და მსაჯების კვების დღიური ნორმა, დაიხარჯა 999,99 ლარი, გამარჯვებული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ რეგიონალურ თამაშზე ქ. ბათუმში, გუნდების მონაწილეობა უზრუნველყოფილია კვებით და სატრანსპორტო მომსახურებით. ღონისძიების მომსახურების შესყიდვა განხორციელდა ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

2. ჭადრაკი- აჭარის პირველობა (8, 12, 16) წლამდე ასაკი(ქ. ბათუმი) (8 მონაწილე, 8 დღე). დაიხარჯა 1699.97 (ერთი ათას ექვსასოთხმოდცხრამეტი ლარი და 97 თეთრი) ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო კვების დღიური ნორმა, სასტარტო და სატრანსპორტო მომსახურებით უზრუნველყოფა, ღონისძიების მომსახურების შესყიდვა განხორციელდა ელექტრონული ტენდერის საშუალებით. (მახარაძე ნინო II ადგილი, სალაძე დიანა III ადგილი.).

3. ჭადრაკი- აჭარის პირველობა (10, 14, 20) წლამდე ასაკი (8 მონაწილე, 8 დღე). დაიხარჯა 1699.97 (ერთი ათას ექვსასოთხმოდცხრამეტი ლარი და 97 თეთრი) ლარი.

(დიანა სალაძე II ადგილი).ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო კვების დღიური ნორმა, სასტარტო და სატრანსპორტო მომსახურებით უზრუნველყოფა, ღონისძიების მომსახურების შესყიდვა განხორციელდა ელექტრონული ტენდერის საშუალებით. (დიანა სალაძე II ადგილი).

4. ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი „ბათუმი 2019“-დაიხარჯა-1699,99 (ერთიათასექვსასოთხმოდცხრამეტი ლარი და 99 თეთრი)-მიღწეული შედეგი: დიანა სალაძე III ადგილი, ნინო მახარაძე IV ადგილი.

ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა, სასტარტო შესატანი და სატრანსპორტო მომსახურება.

5. ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი „შავი ზღვის დელფინი“-დაიხარჯა-1699,99 (ერთიათასექვსასოთხმოდცხრამეტი ლარი და 99 თეთრი)-.

მიღწეული შედეგი: თემო თებიძე IV ადგილი, მარიამ ვაშაყმაძე V ადგილი, ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს

„ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა, სასტარტო შესატანი და სატრანსპორტო მომსახურება.

6. საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „ბათუმის მერიის თასი“-დელფინი“-დაიხარჯა-1949,97 (ერთიათასცხრასორმოცდაცხრა ლარი და 97 თეთრი)- მიღწეული შედეგი: თემო თებიძე და ბაჩუკი თებიძე IV ადგილი ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა, სასტარტო შესატანი და სატრანსპორტო მომსახურება.

7. თორნიკე ლოღობერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში (ქ.თბილისი).(6 მონაწილე) დაიხარჯა 1533,99 (ერთიათასხუთასოცდაცამეტი ლარი და 99 თეთრი)ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო კვების დღიური ნორმა, ღამისთევა და სატრანსპორტო მომსახურებით უზრუნველყოფა, ღონისძიების მომსახურების შესყიდვა განხორციელდა ელექტრონული ტენდერის საშუალებით. (ანრი ავჯიშვილი II ადგილი, სალომე მახაჭაძე II ადგილი, დიმა მახაჭაძე IV ადგილი, სანდრო მახაჭაძე VI ადგილი).

8. მაგიდის ჩოგბურთი, ამხანაგური შეხვედრა ქ. ბათუმის სასპორტო სკოლის გუნდთან-დაიხარჯა-327 (სამასოცდაშვიდი) ლარი.

მიღწეული შედეგი: (სანდრო მახაჭაძე I ადგილი, ლინდა მახაჭაძე II ადგილი, ანრი ავჯიშვილი II ადგილი, ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა და სატრანსპორტო მომსახურება.

9. ამბროლაურის ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში-დაიხარჯა-1699,98 (ათასექვსასოთმოდცხრამეტი ლარი და 98 თეთრი)-მიღწეული შედეგი ლინდა ჩიკვაძე I ადგილი, სანდრო მახაჭაძე I ადგილი, ლინდა მახაჭაძე III ადგილი, დიმა მახაჭაძე IV ადგილი.

ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა, ღამისთევა და სატრანსპორტო მომსახურება.

10. აბაშის ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში-დაიხარჯა 1400(ათასოთხასი)ლარი.

მიღწეული შედეგი: ანრი დევაძე II ადგილი, ლინდა ჩიკვაძე III ადგილი, მარი დავითაძე IV ადგილი, ლინდა მახაჭაძე IV ადგილი. ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა, ღამისთევა და სატრანსპორტო მომსახურება.

11. კარლო გუგუშვილის სახელობის ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში-დაიხარჯა 649(ექვსასორმოცდაცხრა)ლარი.

მიღწეული შედეგი: სანდრო მახაჭაძე I ადგილი, ანრი ავჯიშვილი II ადგილი, მარი ჩიკვაძე III ადგილი. ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი,

გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა და სატრანსპორტო მომსახურება.

12. ჯემალ მელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში-დაიხარჯა 1491(ათასოთხასოთხმოცდათერთმეტი)ლარი.

მიღწეული შედეგი: სანდრო მახაჭაძე I ადგილი, ლინდა მახაჭაძე IV ადგილი, ლინდა ჩიკვაძე IV ადგილი, ლონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა, ღამისთევა და სატრანსპორტო მომსახურება.

13. ქართული ჭიდაობა-აჭარის პირადი/პირველობა 2005-2007წწ. დაბადებულ სპორტსმენებს შორის (დაბა ქედა. (8 მონაწილე) დაიხარჯა 120 (ასოცი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნა ლონისძიებაში მონაწილეების კვებით დღიური ნორმით უზრუნველყოფა (ნიკა აბაშიძე I ადგილი 45 კგ წონით კატეგორიაში, დიმა გოგიტიძე II ადგილი 35 კგ წონით კატეგორიაში, კობა გოგუაძე III ადგილი 35 კგ წონით კატეგორიაში, ლევანი გოგუაძე III ადგილი 55 კგ წონით კატეგორიაში, ნიკა ბერიძე III ადგილი 66 კგ წონით კატეგორიაში). ლონისძიების მომსახურების შესყიდვა განხორციელდა ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

14. ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდების მონაწილეობა „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019“-ში, დაიხარჯა 1249.99 (სამიათასშვიდასორმოცდაცხრა ლარი და 90 თეთრი) ლარი.

„სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019“, შესარჩევ მუნიციპალურ თამაშში გამარჯვებული სკოლის გუნდები გადავიდნენ რეგიონალურ თამაშზე, სადაც სპორტული თამაშები გაიმართა შემდეგ სახეობებში: ფრენბურთი (ვაჟები, გოგონები)(ვერ გადავიდნენ ზონალურ თამაშზე), ფეხბურთი (ვერ გადავიდნენ ზონალურ თამაშზე), კალათბურთი(ვაჟები, გოგონები)(ვერ გადავიდნენ ზონალურ თამაშზე), მაგიდის ჩოგბურთი (ვაჟები, გოგონები)(გოგონები ვერ გადავიდნენ ზონალურ თამაშზე, ხოლო ვაჟებმა მონაწილეობა მიიღეს ზონალურ თამაშზე): ლონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ზენდიდი 2015“. გუნდი უზრუნველყოფილი იყო სატრანსპორტო და ერთჯერადი კვების მომსახურებით.

15. ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სპორტული თამაშები (ფეხბურთი-349,98 ლარი,

ჭადრაკი 349,98 ლარი. ფრენბურთი 649.98 ლარი. კალათბურთი 599,97 ლარი, მაგიდის ჩოგბურთი 349,98 ლარი)- 2299,89 ლარი. ღონისძიებები გაიმართა სპორტის შემდეგ სახეობებში: კალათბურთი,

ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი. ფეხბურთი (საბაზო საფეხურის სკოლებს შორის), ჭადრაკი. სპორტულ თამაშებში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის 25 საჯარო სკოლა, სულ 410 მოსწავლე. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული გუნდების აჯილდოვება ფასიანი საჩუქრებით (სიგელი, მედალი, თასი). ლონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ზენდიდი 2015“.

16. საკვალიფიკაციო ტურნირი თანრიგის მინიჭებაზე - დაიხარჯა-1339 (ერთიათას სამასოცდაცხრამეტი) ლარი და 98 თეთრი.

ლონისძიება შედგებოდა 4 ეტაპისაგან, ანუ თითოეულ საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობას ღებულობდა ააიპ ქედის სასპორტო სკოლის ჭადრაკის გუნდის 3 სპორტსმენი და ერთი მწვრთნელი, წარმატებას მიაღწიეს დათო სამნიძემ და საბა სამნიძემ, ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა, სასტარტო შესატანი და სატრანსპორტო მომსახურება.

17. აჭარის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში-დაიხარჯა 639- (ექვსასოცდაცხრამეტი) ლარი და 98 თეთრი.

ლონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის მაგიდის ჩოგბურთი გუნდი, სულ 10 მონაწილე (9 სპორტსმენი და ერთი მწვრთნელი), წარმატებას მიაღწიეს: ანრი დევაძე I ადგილი, ლინდა ჩიკვაძე II ადგილი, ლინდა მახაჭაძე IV ადგილი, გიორგი დავითაძე IV ადგილი, ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა (ორი დღე) და სატრანსპორტო მომსახურება (ორი რეისი).

18. თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს პირველობა-დაიხარჯა-1897 (ერთიათას რვაას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარი და 95 თეთრი.

ლონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის თავისუფალი ჭიდაობის გუნდი,სულ 7 მონაწილე (ხუთი სპორტსმენი და ორი მწვრთნელი) წარმატებას მიაღწია დავით ფარტენაძემ (41კგ)-II ადგილი, ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა (სამი დღე), ღამისთევა(ორი ღამე) და სატრანსპორტო მომსახურება (თბილისი).

19. ლერი ხახელოვის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში- დაიხარჯა1899,99(ათასრვაასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 99თეთრი)ლარი.

მიღწეული შედეგი: ნიკა ბაშიძე II ადგილი (44კგ), დავით ფარტენაძე III ადგილი (48კგ),ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა, რამისთევა და სატრანსპორტო მომსახურება.

20. თავისუფალი ჭიდაობა როსტომ მელაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი-დაიხარჯა 639,99 (ექვსასოცდაცხრამეტი ლარი და 99 თეთრი)ლარი.

მიღწეული შედეგი: კობა გოგუაძე - I - ადგილი (38. კგ), რეზი ბასილაძე - II - ადგილი (38. კგ); . ანრი ცინცაძე - III - ადგილი (29. კგ); ზურაბ აბაშიძე - II - ადგილი (42. კგ); ნიკა აბაშიძე - II - ადგილი (44. კგ); დავით ფარტენაძე - III - ადგილი (48. კგ); ნოდარ ლორთქიფანიძე - III - ადგილი (62. კგ). ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა და სატრანსპორტო მომსახურება.

21. ზიგფრიდ ჩხაიძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში-ტურნირი-დაიხარჯა-560 (ხუთასსამოცი)ლარი.

მიღწეული შედეგი: კობა გოგუაძე 1 ადგილი(38კგ), დიმა გოგიტიძე I ადგილი (42კგ), არმაზი ჯაბნიძე 1 ადგილი(85კგ), ცინცაძე ბაჩანა II ადგილი (42კგ),ლორთქიფანიძე ნოდარი III ადგილი (62კგ), ბერიძე ირაკლი III ადგილი (62კგ), ბედინაძე ანრი III ადგილი (58კგ),ღონისძიების

მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა და სატრანსპორტო მომსახურება.

22. დ. კვინიკაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში-ტურნირი-დაიხარჯა-1799,99(ათასშვიდასოთხმოცდაცხრამმეტი ლარი და 99თეთრი)ლარი.

მიღწეული შედეგი: კობა გოგუაძე I ადგილი (38კგ), ნიკა აბაშიძე I ადგილი (44კგ), ფარტენაძე დავით I ადგილი (48კგ), აბაშიძე ზებური III ადგილი (45კგ),

ლონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა და სატრანსპორტო მომსახურება.

23. შოთა ლომიძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში-ტურნირი-დაიხარჯა-1899,99(ათასრვაასოთხმოცდაცხრამმეტი ლარი და 99თეთრი)ლარი

მიღწეული შედეგი: ბაჩანა ცინცაძე - III - ადგილი (41. კგ). ლონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა და სატრანსპორტო მომსახურება.

24. ვლადიმერ მახარაძის სახელობის ტურნირი ქართული ჭიდაობაში-დაიხარჯა 249 (ორასორმოცდაცხრა) ლარი და 99თეთრი .

ლონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ააიპ ქედის სასპორტო სკოლის ქართული ჭიდაობის გუნდი, სულ 8 (რვა) მონაწილე: 7 სპორტსმენი და 1 მწვრთნელი, მიღწეული შედეგი: დავით ფარტენაძე (50კგ) I ადგილი, გოდერძი ოსანაძე (55კგ) I ადგილი, მამული გურგენიძე (66კგ) II ადგილი, დიეგო მახარაძე (70კგ) II ადგილი, არმაზი ჯაბნიძე (90კგ) II ადგილი, გიორგი ფარტენაძე (80კგ) III ადგილი. გუნდი უზრუნველყოფილი იყო სატრანსპორტო და კვების დღიური ნორმით (ერთი დღე). ლონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა და სატრანსპორტო მომსახურება.

25. გ. ხინჭევაშვილი ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში-დაიხარჯა-1869(ერთიათასრვაასსამოცდაცხრა) ლარი 99 თეთრი,

ლონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის თავისუფალი ჭიდაობის გუნდი, სულ 8 (რვა) მონაწილე: მიღწეული შედეგი: დიმა გოგიტიძე III ადგილი, ლონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა (სამი დღე), ღამისთევა (2 ღამე) და სატრანსპორტო მომსახურება (გორი).

26. თავისუფალი ჭიდაობა. კობა კაკალაძის სახელობის ტურნირი-დაიხარჯა-599 ხუთასოთხმოცდაცხრამმეტი) ლარი 98 თეთრი.

ლონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის თავისუფალი ჭიდაობის გუნდი, სულ 10 მონაწილე (9 სპორტსმენი და 1 მწვრთნელი), მიღწეული შედეგი:

გოგითიძე დიმა (35 კგ) I ადგილი, გოგუაძე ანრი (38 კგ) I ადგილი, გოგუაძე კობა (35 კგ) II ადგილი, ცინცაძე ანრი 29 (კგ) III ადგილი, ცინცაძე ბაჩანა (41 კგ) III ადგილი. მონაწილეები უზრუნველყოფილი იყვნენ სატრანსპორტო, კვების დღიური ნორმით 2 (ორი) დღე. ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა (ორი დღე) და სატრანსპორტო მომსახურება (ქობულეთი, 2 რეისი).

27. პაატა გარსევანიშვილის სახელობის ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში-დაიხარჯა 2199 (ორიათასასოთმოდაცხრამმეტი) ლარი და 98 თეთრი,

ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ა.ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის მაგიდის ჩოგბურთის გუნდი 10 მონაწილე (9 სპორტსმენი და 1 მწვრთნელი), მიღწეული შედეგი: სანდრო მახაჭაძე I ადგილი, სალომე მახაჭაძე I ადგილი, ანრი ავჯიშვილი I ადგილი, ლინდა ჩიკვაძე I ადგილი, ანრი დევაძე II ადგილი, მარიამ დავითაძე III ადგილი. ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა (სამი დღე), ღამისთევა(ორი ღამე) და სატრანსპორტო მომსახურება (თელავი).

28. ნოშრევან დავითაძის და გელა ზოიძის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში 249 (ორასორმოდაცხრა) ლარი და 99 თეთრი.

ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ააიპ ქედის სასპორტო სკოლის ქართული ჭიდაობის გუნდი, სულ 8 (რვა) მონაწილე: 7 სპორტსმენი და 1 მწვრთნელი, მიღწეული შედეგი: ანრი ცინცაძე (30 კგ) I ადგილი, კობა გოგუაძე (35 კგ) III ადგილი, ლევანი თავდგირიძე (55 კგ) III ადგილი. ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ზენდიდი 2015“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა (ერთი დღე) და სატრანსპორტო მომსახურება (შუახევი).

29. ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდების მონაწილეობა „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019“-ში,-დაიხარჯა-1005(ერთიათასხუთი) ლარი.

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019-ის შესარჩევი მუნიციპალური თამაშების დასრულების შემდეგ, გამარჯვებული საჯარო სკოლის (გაიმართა სპორტის შემდეგ სახეობებში: მაგიდის ჩოგბურთი-ვაჟები,გოგონები, ფრენბურთი-ვაჟები, გოგონები. კალათბურთი-ვაჟები, გოგონები. ფეხბურთი-ვაჟები) გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ბათუმში რეგიონალურ თამაშზე, სადაც მხოლოდ წარმატებას მიაღწია ვაიოს საჯარო სკოლის ვაჟთა გუნდმა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს დასავლეთ საქართველოს ზონალურ თამაშზე ქ. ქუთაისში. სამწუხაროდ წარმატებას ვერ მიაღწია. ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ჯიჯო 13“, დაიხარჯა 1005 (ათასხუთი)(ქვეპროგრამის პირველი პუნქტიდან) ლარი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა (ორი დღე), ღამისთევა (ერთი ღამე) და სატრანსპორტო მომსახურება (ქუთაისი).

30. ფეხბურთი. არჩილ ფარტენაძის სახელობის ტურნირი-დაიხარჯა-1695 (ერთიათასექვსასოთხმოდათხუთმეტი) ლარი და 80 თეთრი,

ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა მუნიციპალიტეტის 14 საჯარო სკოლა, გუნდები დაიყო სამ (დანდალოს, ქედის, და მახუნცეთის)ზონად, აქედან პირველი და მეორე ადგილზე გასულმა გუნდებმა(დანდალოს ზონა-სოფელი ახო, სოფელი დანდალო, ქედის ზონა- ქედა, ვაიო,

მახუნცეთის ზონა-ქვ, მახუნცეთი, სოფელი მახუნცეთი) მონაწილეობა მიიღეს ფინალურ ტურში, პირველი ადგილი დაიკავა დაბა ქედის საჯარო სკოლამ, მეორე და მესამე ადგილი კი სოფ: ახოს და ქვ. მახუნცეთის საჯარო სკოლის გუნდებმა დაეუფლენ, საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით (თასი, მედალი, სიგელი), ასევე დაჯილდოვდნენ საუკეთესო მეკარე, საუკეთესო თავდამსხმელი და მცველი ფასიანი საჩუქრით, ფინალურ ტურში გადასული გუნდები და მასწავლებლები უზრუნველყოფილი იყო ერთჯერადი კვებით, ღონისძიებაში ჩართული იყო 112 მოსწავლე, ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ჯიჯო 13“.

31. აჭარის ა/რ პირველობა მინი ფეხბურთში ქალაქისა და მუნიციპალიტეტის გუნდებს შორის-დაიხარჯა-1400 (ათასობასი) ლარი.

ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდნენ ქედის ნაკრები გუნდი (მინი ფეხბურთში), სადაც მონაწილეოდნენ აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტის გუნდები, ქედის ნაკრებმა გუნდმა დაიჭირა მეორე ადგილი. ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი და გამოვლინდა გამარჯვებული შ.პ.ს „ჯიჯო 13“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის სატრანსპორტო და ერთჯერადი კვებით მომსახურება.

32. „მოყვარულთა თასის 2019“-ის გათამაშებაში ქედის მუნიციპალიტეტის გუნდის მონაწილეობა-დაიხარჯა-2615 (ორიათასექვსასთხუტმეტი) ლარი, დაფინანსდა კვების დღიური ნორმა (20 კაცი) და სატრანსპორტო მომსახურება. ღონისძიება ითვალისწინებდა მუნიციპალური თამაშის ჩატარებას და აქედან გამარჯვებული გუნდმა მონაწილეობას მიიღო აჭარის რეგიონალურ თამაშზე, ღონისძიებასი მონაწილეობას ღებულობდა აჭარიდან შვიდი გუნდი, სადაც გაიმარჯვა და პირველი ადგილის ფლობელი გახდა მეორედ(20189წ) ქედის გუნდი(2019), ხოლო დასავლეთ საქართველოს ზონალურ ტურნირში დამარცხდა და გამოეთიშა ტურნირს

ღონისძიების მომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი და გამოვლინდა გამარჯვებული ინდ. მეწარმე ლევან აბესლამიძე, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის სატრანსპორტო და კვების დღიური ნორმა.

33. საქართველოს ჩემპიონატი კიკბოქსინგში (თბილისი) (ქედის კიკბოქსიორთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში) დაიხარჯა 799 (შვიდასოთხმოცდაცხრამეტი) ლარი და 75 თეთრი.

შეჯიბრში მონაწილეობას ღებულობდა ააიპ ქედის სასპორტო სკოლის კიკბოქსინგის გუნდი. მიღწეული შედეგი: 1. ნიკა ზოიძე - I - ადგილი; 2. თათია კობალაძე - I - ადგილი; 3. ლუკა მახაჭაძე - I - ადგილი; 4. ლინდა დიასამიძე - II - ადგილი; 5. უჩა ბერიძე - III - ადგილი. ღონისძიების ღომსახურებაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი და გამოვლინდა გამარჯვებული ინდ. მეწარმე ლევან აბესლამიძე. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გუნდის კვების დღიური ნორმა (სამი დღე), ღამისთევა (ერთი ღამე) და სამგზავრო ბილეთებით უზრუნველყოფა (ქედა-თბილისი-ქედა).

34. 2019 წლის წარმატებული სპორტსმენთა და მწვრთნელთა წახალისების ფონდი-9540 (ცხრაათასხუთასორმოცი) ლარი.

2019 წლის განმავლობაში სპორტსმენები რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივ, რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ღონისძიებებში და აჩვენეს საუკეთესო

შედეგები, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდგომი სტიმულირების მიზნით სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისება ფულადი ჯილდოთი, სულ ფულადი ჯილდო გადაეცა 29 სპორტსმენს და 10 მწვრთნელს.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის მიერ 2019 წელს დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტის (კულტურის განვითარების ხელშეწყობა) ქვეპროგრამით - (კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა) გათვალისწინებული კულტურული ღონისძიებების შესრულების შესახებ წლიური ანგარიში

1. პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურის განვითარების ხელშეწყობა

2. ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 02 04

3. ქვეპროგრამის დასახელება:

კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა

4. ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური

5. დაფინანსების წყარო:

მუნიციპალური ბიუჯეტი

6. ქვეპროგრამის მიზანი:

გაზრდილი კულტურული ცხოვრების აქტივობა, კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული აქტივობების განვითარების ხელშეწყობა.

7. პროგრამის დაწყების და დასრულების თარიღი, ხანგრძლივობა;

დაწყება - 01 იანვარი 2019 წელი

დამთავრება - 31 დეკემბერი 2019 წელი

8. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული და თანამდებობის პირი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური. სამსახურის უფროსი ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე.

9. პროგრამის შესრულების ანგარიშის რეზიუმე

2019 წელს ჩატარებულია შემდეგი ღონისძიებები, კერძოდ:

- საახალწლო-საშობაო ღონისძიებების ფარგლებში საბავშვო მიუზიკლის „ფიფქია და სამი გოჭი“ მოწვევა-დადგმა; 2018 წელს გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული ინდ. მეწარმე ზაურ შავიშვილი“, 2018 წლის 20 დეკემბერს

გაფორმდა N254 ხელშეკრულება. ღონისძიება აღებული იყო 2019 წლის კულტურული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის ბიუჯეტის პროექტით. **დაიხარჯა 1210 (ერთიათასორასათი) ლარი;**

- საახალწლო-საშობაო ღონისძიებების ფარგლებში ბავშვებისათვის სპექტაკლის „ზევით ყვავილებთან მინდა“ მოწვევა-დადგმა; 2018 წელს გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული ინდ. მეწარმე ზაურ შავიშვილი“, 2018 წლის 20 დეკემბერს გაფორმდა N254 ხელშეკრულება. ღონისძიება აღებული იყო 2019 წლის კულტურული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის ბიუჯეტის პროექტით. **დაიხარჯა 1210 (ერთიათასორასათი) ლარი;**
- საახალწლო-საშობაო ღონისძიებებისთვის საჭირო სხვადასხვა აქსესუარების შეძენა. 2018 წელს გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული ინდ. მეწარმე ზაურ შავიშვილი“, 2018 წლის 20 დეკემბერს გაფორმდა N254 ხელშეკრულება. ღონისძიება აღებული იყო 2019 წლის კულტურული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის ბიუჯეტის პროექტით. ღონისძიების ფარგლებში მოწოდებული იქნა საახალწლო აქსესუარები, განხორციელდა სატრანსპორტო მომსახურებები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებიდან. ჩატარდა სხვადასხვა კულტურულ-გასართობი აქტივობები. **დაიხარჯა 7078,50 (შვიდიათასსამოცდათვრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი.**
- „საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი ეტალონი 2018-2019“-ის ჩატარება ქედის მუნიციპალიტეტში და მასში შემსყიდველის სკოლების მოსწავლეების მონაწილეობა; ღონისძიება განხორციელდა 2019 წლის პროგრამული ბიუჯეტის (კულტურის განვითარების ხელშეწყობა) ქვეპროგრამით - (კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა) გათვალისწინებული ღონისძიებების მე-10 პუნქტიდან. გამარტივებული შესყიდვის წესით 23 იანვარს გაფორმდა N11 ხელშეკრულება შპს „ეტალონი მედიას“-თან (დირექტორი მანანა ლოღობერიძე). ქედის ეტალონი მოსწავლის გამოსავლენი ინტელექტუალური კონკურსის მეორე ეტაპი, დაბა ქედაში, 2019 წლის 24 იანვარს ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებმა (სულ 78), რომლებმაც წარმატებით გადალახეს კონკურსის პირველი ეტაპი „ტესტირება“. **დაიხარჯა 2960 (ორი ათას ცხრა ას სამოცი) ლარი.**
- საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი ეტალონი 2018-2019“-ის ქედის ეტალონი მოსწავლის გამოსავლენი ინტელექტუალური კონკურსში (მეორე ტურში) გამარჯვებულ

მონაწილეებზე (I, II, III ადგილი) ფულადი ჯილდოს გადაცემა. კონკურსში გამარჯვებულ მონაწილეებს გადაეცა ფულადი ჯილდო - I ადგილზე 500 ლარი (ნიკა გეგიძე (ახოს საჯარო სკოლა, X კლასი), II ადგილზე 300 ლარი (ხატია ბერიძე (გეგელიძეების საჯარო სკოლა, XI კლასი), III ადგილზე 200 ლარი (შალვა დევამე (მერისის საჯარო სკოლა, X კლასი). აღნიშნული თანხა გამარჯვებული მოსწავლეების კანონიერ წარმომადგენლებს დაერიცხათ მათ მიერ მოწოდებულ ანგარიშზე. **სულ დაიხარჯა 1000 (ერთიათასი) ლარი.**

- **დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.** ღონისძიება განხორციელდა 2019 წლის პროგრამული ბიუჯეტის (კულტურის განვითარების ხელშეწყობა) ქვეპროგრამით - (კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა) გათვალისწინებული ღონისძიებების პირველი პუნქტიდან. გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 28 თებერვალს გაფორმდა N48 ხელშეკრულება. პროგრამის ფარგლებში შეძენილი და გადაცემულია 64 ცალი ფასიანი საჩუქარი დედებისათვის და 11 ცალი ფასიანი საჩუქარი ღვაწლმოსილი ქალბატონებისათვის. ღონისძიება ჩატარდა 2019 წლის 8 მარტს ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრში. **ღონისძიების ფარგლებში დაიხარჯა 2970 (ორიათასცხრასამოცდაათი) ლარი.**

- **დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე.** ღონისძიება განხორციელდა 2019 წლის პროგრამული ბიუჯეტის (კულტურის განვითარების ხელშეწყობა) ქვეპროგრამით - (კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა) გათვალისწინებული ღონისძიებების მერვე პუნქტიდან „ადგილობრივი და საერთაშორისო დღეების აღნიშვნა“. გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 28 თებერვალს გაფორმდა N48 ხელშეკრულება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 1 დღე სატრანსპორტო მომსახურება ღონისძიების ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ასევე შეძენილი იქნა ღონისძიებისათვის საჭირო სხვადასხვა სახის საკანცელარიო ნივთი (2 შეკვრა მაღალი ხარისხის ფერადი ბუშტები, 10 ცალი უბრალო სახატავი ფანქარი, 5 შეკვრა 12 ცალიანი ფერადი სახატავი ფანქრები, 5 ცალი ფანქრის სათლელი, 5 ცალი საშლელი 40x20, 14 წყვილი ბამბის გეტრი სხვადასხვა ფერის ზოლებით, 6 ცალი ალექსანდროვის თეთრი ფურცელი ზომა 90/69, 20 მეტრი სამკუთხედი ფორმის ლენტაზე აკინძული ფერადი გირლიანდა.). ღონისძიება გაიმართა 2019 წლი 21 მარტს რომელშიც ჩართული იყო სპეციალური საგანმანათლებლო საწიროებების მქონე ბავშვები, საჯარო სკოლის მოსწავლეები და სხვა დაინტერესებული პირები. **სულ დაიხარჯა 440 (ოთხასორმოცი) ლარი.**

- დამეგობრებულ მუნიციპალიტეტებს შორის (ქედა-კრემენეცი) გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში გაცვლითი ვიზიტების ხელშეწყობასთან დაკავშირებული მომსახურება. ღონისძიება განხორციელდა 2019 წლის პროგრამული ბიუჯეტის (კულტურის განვითარების ხელშეწყობა) ქვეპროგრამით - (კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა) გათვალისწინებული ღონისძიებების მე-14 პუნქტიდან - დამეგობრებულ (საქართველო/ქედა - უცხოეთი) მუნიციპალიტეტებს (ქალაქებს) შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და საინფორმაციო სფეროებში თანამშრომლობა. გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული ინდ. მეწარმე ლევან აბესლამიძე“, 15 მარტს გაფორმდა N57 ხელშეკრულება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 13 ავიაბილეთებით უზრუნველყოფა (თბილისი-კიევი-ლვოვის მიმართულებით ორმხრივი ფრენის განხორციელება 15. 03. 2019 - 21. 03. 2019), ფასიანი საჩუქრების შეძანა მასპინძელი მხარისთვის 5 კაცზე. **სულ დაიხარჯა 10344.54 (ათიათასსამასორმოცდაოთხი ლარი და 54 თეთრი) ლარი.**

- აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოში დაგეგმილ საერთაშორისო ფესტივალში „კავკასიის ცეცხლი“ ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლის გოგონათა ფოლკლორული ანსამბლ „იასამანის“ მონაწილეობა. ღონისძიება განხორციელდა 2019 წლის პროგრამული ბიუჯეტის (კულტურის განვითარების ხელშეწყობა) ქვეპროგრამით - (კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა) გათვალისწინებული ღონისძიებების მე-11 პუნქტიდან, მუნიციპალიტეტში არსებული ანსამბლების, გუნდებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობა ადგილობრივ, საერთაშორისო და სხვადასხვა ღონისძიებებში. გამარტივებული შესყიდვის წესით 21 მარტს გაფორმდა N64 ხელშეკრულება ქართული ქორეოგრაფიის ეროვნულ ცენტრთან (დირექტორი ზაზა მჟავანაძე). ფესტივალი ჩატარდა 25-28 მარტს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოში. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა 10 კაცის (8 ბავშვი და 2 თანმხლები პირი) სატრანსპორტო მომსახურება (ქედა-თბილისი-ბაქო-თბილისი-ქედა), ღამისთევა (3 ღამე), სამჯერადი კვებით უზრუნველყოფა 4 დღე. **სულ დაიხარჯა 3499,80 (სამიათასოთხას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.**

- აუტიზმის საერთაშორისო დღე; გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 28 თებერვალს გაფორმდა N48 ხელშეკრულება. ღონისძიებაში ჩართული იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვები, საჯარო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები და სხვა წევრები. აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღე ქედაში მრავალფეროვანი აქტივობებით გაიმართა, მოწვეულმა

ფსიქოლოგმა ქედის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბისა და სპეციალური სწავლების საჭიროების მქონე მოსწავლეებს, აუტიზმის შესახებ ზოგადი ინფორმაცია მიაწოდა და სტერეოტიპებზე, მიმღებლობასა და ადაფტაციაზე ესაუბრა. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო გამოფენები, ხატვა, გაიმართა ასევე დისკუსია - „ცვლილებები აუტიზმისთვის“, ახალგაზრდებმა თავად შეიმუშავეს დღის სლოგანი „განათე ლურჯად“ და ამ დღესთან დაკავსირებული სხვა სლოგანები. განხორციელდა სატრანსპორტო მომსახურებები. **დაიხარჯა 352 (სამასორმოდატორმეტი) ლარი;**

- **9 აპრილი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;** გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 28 თებერვალს გაფორმდა N48 ხელშეკრულება. ღონისძიება 9 აპრილის სკვერში 9 აპრილის ტრაგედიიდან 30 წლისთავისადმი მიძღვნილი კულტურულ-შემოქმედებითი აქტივობებით გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში შეძენილი იყო გვირგვინი, ყვავილები, სანთლები. მოეწყო სლოგანი „მადლობათავისუფლებისთვის“, მემორიალი შეიმკო გვირგვინითა და ტიტებით. ჩატარდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიისას 21 დაღუპულის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი, დაინთო სანთლები. ღონისძიებაში ჩართული იყო ქედის საჯარო სკოლის მოსწავლეები, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები, ააიპ ქედის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი „ელესა“ და საზოგადოების სხვა წევრები. **დაიხარჯა 572 (ხუთასსამოდატორმეტი) ლარი.**
- **აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული;** გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 28 თებერვალს გაფორმდა N48 ხელშეკრულება. ღონისძიების ფარგლებში შეძენილ იქნა და გადაეცა უფასო კვების 23 ბენეფიციარს სააღდგომო ფუთა. **დაიხარჯა 893,34 (რვაასოთხმოდაცამმეტი ლარი და 34 თეთრი) ლარი.**
- **„მხატვრული კითხვის კონკურსი“ დედაენის დღის კვირეულის ფარგლებში;** გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ზენდიდი 2015“, 17 აპრილს გაფორმდა N86 ხელშეკრულება. ღონისძიებაში მონაწილეობდა ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის I, II, III, IV კლასის მოსწავლეები, სულ 56 კონკურსანტი. კონკურსი ჩატარდა ორ ეტაპად. ღონისძიების ფარგლებში მონაწილეებს გადაეცათ სიგელები, ხოლო პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულ მონაწილეებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები და სიგელები. მოეწყო ალაფურშეტი. **დაიხარჯა 929,98 (ცხრაასოდაცხრა ლარი და 98 თეთრი) ლარი.**

- **საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში „ექსპო ბათუმი“ მონაწილეობა;** გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 28 თებერვალს გაფორმდა N48 ხელშეკრულება. ღონისძიება მიმდინარეობდა 3 დღე ქ. ბათუმში სასტუმრო შერატონში. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქედის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელი კულინარიული კუთხის მოწყობა (3 დღე), ღონისძიებაში მონაწილე პირთა (35 კაცი) კვებითი და სატრანსპორტო მომსახურება, საგამოფენო მასალების ტრანსპორტირება, გამოფენისათვის საჭირო ნივთების შექმნა. მოეწყო ეთნოგრაფიული და რეწვის მასალების გამოფენა. ასევე წარდგენილი იყო ააიპ ქედის კულტურის სახლთან არსებული ფოკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები. **დაიხარჯა 2321 (ორიათასსამასოცდაერთი) ლარი.**
- **სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა;** გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 28 თებერვალს გაფორმდა N48 ხელშეკრულება. ღონისძიება განხორციელდა 3 ტურად. პირველი ტური ჩატარდა 16 აპრილს, ხოლო მეორე ტური ჩატარდა 8 მაისს დაბა ქედაში, ააიპ ქედის კულტურის ცენტრში. პირველ ტურში განხორციელდა 12 სატრანსპორტო მომსახურება მონაწილე გუნდების (მუნიციპალიტეტის ფარგლებში) მათი ადგილმდებარეობიდან დანიშნულების ადგილამდე უკან დაბრუნებით, მე-2 ტურში - გადასული გუნდების ტრანსპორტირება (მუნიციპალიტეტის ფარგლებში 6 რეისი), მე-3 დასკვნით ფინალურ ტურში (10 მაისს) - გადასული გუნდების სატრანსპორტო მომსახურება (6 რეისი) მათი ადგილმდებარეობიდან ქ. ბათუმში სსიპ ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში უკან დაბრუნებით. ღონისძიების ფარგლებში ჟიურის წევრებს გაეწია კვებითი უზრუნველყოფა I- II ტური 15 კაცი. **დაიხარჯა 2981 (ორიათასცხრასოთხმოცდაერთი) ლარი.**
- **9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღე;** გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 28 თებერვალს გაფორმდა N48 ხელშეკრულება. პროგრამის ფარგლებში შეძენილია მემორიალურ დაფებთან გასატანი 100 ცალი ვარდი და 3 ცალი ვარდის გვირგვინი. ღონისძიების ფარგლებში შეიმკო დაბა ქედის, წონიარისისა და ცხმორისის მემორიალური დაფები გვირგვინებითა და ყვავილებით. მოეწყო სხვადასხვა კულტურული აქტივობები. **დაიხარჯა 594 (ხუთასოთხმოცდაათოთხმეტი) ლარი.**
- **26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე;** გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 28 თებერვალს გაფორმდა N48 ხელშეკრულება. ღონისძიების ფარგლებში შეძენილია 60 ცალი მაისური

მონაწილეთათვის, ღონისძიების ორგანიზებისა და გაფორმებისათვის საჭირო ნივთები. სპორტულ ღონისძიებებში I, II, III ადგილზე გასული მონაწილეებისათვის 12 ცალი თასი და 12 ცალი სიგელი, ასევე სხვადასხვა ფასიანი საჩუქრები. პროგრამის ფარგლებში გაიმართა მარათონი (რბენა) ვაჟებსა და გოგონებში, ბირთვის კვრა, ქართული ჭიდაობა. ჩატარდა კონცერტი. **დაიხარჯა 2999 (ორიათასცხრაასოთხმოცდაცხრამეტი) ლარი.**

- **ქედის მუნიციპალიტეტის მასწავლებელთა მესამე მუნიციპალური კონფერენციის ჩატარება;** გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 28 თებერვალს გაფორმდა N48 ხელშეკრულება. კონფერენცია ჩატარდა ქედის საჯარო სკოლაში, რომლის ფარგლებში შეძენილი და გადაცემული იქნა კონფერენციაში მონაწილეთათვის საჭირო სხვადასხვა საკანცელარიო ნივთი. განხორციელდა ქ. ბათუმიდან მასწავლებელთა სახლის წმომადგენლებისა და ტრენერი მასწავლებლების სატრანსპორტო მომსახურება. ასევე განხორციელდა ღონისძიებაში მონაწილე პირთა კვებითი უზრუნველყოფა. ღონისძიებაში ჩართული იყო 150 მონაწილე. **დაიხარჯა 2992 (ორიათასცხრაასოთხმოცდათორმეტი) ლარი.**
- **მახუნცეთის კულტურის სახლის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო;** გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 22 მაისს გაფორმდა N107 ხელშეკრულება. ღონისძიება ჩატარდა მახუნცეთის კულტურის სახლში. ღონისძიების ფარგლებში შეძენილი იქნა მახუნცეთის კულტურის სახლისთვის სასცენო ხავერდის ფარდა და სხვა ფასიანი საჩუქრები. მოწვეული სტუმრებისა და ღონისძიებაში მონაწილე პირებისთვის მოეწყო ალაფურშეტი. **დაიხარჯა 2119, 70 (ორიათასასცხრამეტი ლარი და 70 თეთრი) ლარი.**
- **ექსკურსია-ლაშქრობის მოწყობა;** გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 28 თებერვალს გაფორმდა N48 ხელშეკრულება. ღონისძიების ფარგლებში მოვაწყეთ კულტურულ-შემეცნებითი აქტივობა, ჩავრთეთ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 30 მოსწავლე, რომლებმაც მოინახულეს დანდალოს თამარ მეფის თაღვანი ხიდი და კავიანის ციხე. უზრუნველყოფილი იყო მონაწილეთა კვება და სატრანსპორტო მომსახურება. **დაიხარჯა 484 (ოთხასოთხმოცდაოთხი) ლარი.**
- **შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე;** გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 28 თებერვალს გაფორმდა N48 ხელშეკრულება. ტრენინგს ესწრებოდნენ ქედის საჯარო სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, პედაგოგები და სხვა წევრები. ტრენინგის თემა იყო „არ არსებობს

შეზღუდული შესაძლებლობები", რომლის ფარგლებშიც მსმენელს მიეწოდა ინფორმაცია ტერმინოლოგიის, სწორი დამოკიდებულებისა და ქვევის მიმართ. გაიმართა ფილმის განხილვა და დისკუსია თემის ირგვლივ. ღონისძიების მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების სოციალური იზოლაციის დაძლევა, საზოგადოებაში მათ მიმართ არსებული ნეგატიური სტერეოტიპების რღვევა და მათი რეალური შესაძლებლობების წარმოჩენა. უზრუნველყოფილი იყო მონაწილეთა კვება. **დაიხარჯა 506 (ხუთასექვსი) ლარი.**

- **ანიმაციური ფილმების ფესტივალი „ექო თოფუზი“.** ანიმაციური ფილმების ფესტივალი „ექო თოფუზი“-ს ფარგლებში განხორციელდა „ანიმაციური ფილმების ჩვენების უფლების შესყიდვა“; გამარტივებული შესყიდვის წესით დაიდო N117 ხელშეკრულება ააიპ „ანიმაციის განვითარების ფონდთან. ღონისძიება ჩატარდა 2019 წლის 31 მაისსა და 1 ივნისს, მოეწყო გასართობ - საგანმანათლებლო აქტივობები, ვორქშოპები, კინოჩვენებები, „ბარაბან შოუ“, ქუჩის თეატრალიზებული წარმოდგენა, ქუჩის მოხატვა, ფრანების გაშვება და სხვა აქტივობები. მოზარდებმა გაიარეს ფილმის წარმოების ყველა ეტაპი. ბავშვების ჩართულობით შეიქმნა მცირე ანიმაციური ფილმი. **დაიხარჯა 2700 (ორიათასშვიდასი) ლარი.**
- **„ბაირამის“ დღე;** გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ზენდიდი 2015“, 17 აპრილს გაფორმდა N86 ხელშეკრულება. ღონისძიების ფარგლებში შეძენილი იქნა ქედის მუნიციპალიტეტის მუსლიმი მრევლისათვის 4 ტკბილეულის ფუთა. **დაიხარჯა 859,98 (რვაასორმოცდაცხრამეტი ლარი და 98 თეთრი) ლარი.**
- **„ეტალონი“-ს ფინალურ თამაშში მონაწილეობა;** გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ზენდიდი 2015“, 17 აპრილს გაფორმდა N86 ხელშეკრულება. ღონისძიების ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნა „ეტალონის ფინალურ თამაშში მონაწილეობა“-სთან დაკავშირებული მომსახურება, კერძოდ: ფინალში მონაწილე მოსწავლის (ახოს საჯარო სკოლის მე-10 ლკასის მოსწავლე ნიკა ბერიძე) და 2 თანხმლები პირის სატრანსპორტო მომსახურება, სასტუმროთი და კვებითი უზრუნველყოფა. ასევე, გულშემატკივართა (20 კაცი) სატრანსპორტო მომსახურება (ქედა-თბილისი-ქედა) და კვება. **დაიხარჯა 2399,97 (ორიათასსამასოთხმოდცხრამეტი ლარი და ოთხმოდცხრამეტი თეთრი) ლარი.**
- **ქედის კულტურის ცენტრთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლ „ელესას“ – „ჩვენებურების სიმღერა ინეგოლიდან“ კონცერტში მონაწილეობა.** 2019 წლის 15 აპრილს გაფორმდა N85 ხელშეკრულება ინდ. მეწარმე ლევან აბესლამიძესთან. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა მინაწილეთა კვებითი მომსახურება, დამისთევა და სატრანსპორტო მომსახურებები (ქედა-თბილისი ქედა, ქედა-ბათუმი-ქედა). **დაიხარჯა 2120 ლარი.**

- უკრაინის რესპუბლიკის ქ. ტერნოპოლში საგალობლების ფესტივალში (მე იქ ვარ სადაც ღვრთის წყალობა) ანსამბლ ელესას მონაწილეობა. (ლონისძიების ფარგლებში განხორციელდა მონაწილეთა ავიაბილეთებით უზრუნველყოფა და მასპინძელი მხარისთვის ფასიანი საჩუქრების შეძენა. ხელშეკრულება N88 გაფორმდა 2019 წლის 18 აპრილს, ინდ. მეწარმე რევაზ გვარიშვილთან). **დაიხარჯა 3799,99 ლარი.**
- ტარიელ მამალაძის საიუბილეო საღამო „მუსიკა სულის პოეზიაა“; (გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ზენდიდი 2015“. 2019 წლის 24 ივლისს გაფორმდა N153 ხელშეკრულება. ღონისძიების ფარგლებში დაიბეჭდა მოსაწვევები, სარეკლამო აფიშები, ფოტოსურათები, დიპლომი, ბანერი შტენდელით, ყვავილების იკებანა და ხილის ტორტი. განხორციელდა ღონისძიების ვიდეო გადაღება, მოწვეული სტუმრების 50 კაცი გამასპინძლება.) **დაიხარჯა 1999,62 (ერთიათასცხრასოთხმოცდაცხრამმერი ლარი და სამოცდაორი თეთრი) ლარი.**
- **08 აგვისტოს დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;** (გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ჯიჯო 13“, 28 თებერვალს გაფორმდა N48 ხელშეკრულება. ღონისძიების ფარგლებში გვირგვინითა და ყვავილებით შეიმკო 8 აგვისტოს ომში დაღუპული გმირის ფრიდონ თურმანიძის საფლავი. ღონისძიებას ესწრებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები და საზოგადოების სხვა წევრები.) **დაიხარჯა 297 (ორასოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარი;**
- **შუამთობა;** (გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ზენდიდი 2015“. 12 აგვისტოს გაფორმდა N160 ხელშეკრულება. ღონისძიების ფარგლებში კოსლითავის მთის მოიალაღებისათვის შეძენილი იქნა 1 ცალი სასმელი წყლის საქაჩი (ტუმბო), 32 მმ დიამეტრის (100მ) და 25 მმ დიამეტრის (1200მ) სასმელი წყლის პოლიეთილენის მილი, 1 ცალი წყლის სარეზერვო 200 ლიტრიანი პოლიეთილენის ავზი, ახოიაილას მთის მოსახლეობისათვის 25 მმ დიამეტრის (1200მ) სასმელი წყლის მილი, საიჩაირის მთის მოიალაღებისათვის 1000 მეტრი (32 მმ და 25 მმ) იზოლირებული ალუმინის ორწვერა კაბელი, ასევე 12 მოიალასლისათვის ფასიანი საჩუქრებისა და დიპლომების გადაცემა, ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ყველა მთაში გასვლა, მოსახლეობასთან შეხვედრა და სხვადასხვა ფასიანი საჩუქრების გადაცემა). **დაიხარჯა 7315,92 (შვიდიათასსამასოთხუთმეტი ლარი და ოთხმოცდათორმეტი თეთრი) ლარი.**

- ექსკურსია-ლაშქრობის მოწყობა, ქედის მუნიციპალიტეტის მთებში; (გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ზენდიდი 2015“. 12 აგვისტოს გაფორმდა N160 ხელშეკრულება. ღონისძიების ფარგლებში ექსკურსია მოვაწყვეთ მუნიციპალიტეტის მთებში, ჩატარდა კულტურულ-შემეცნებითი აქტივობები, რომელშიც ჩართული გვყავდა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები და ახალგაზრდები. უზრუნველყოფილი იყო მონაწილეთა კვება, ღამისთევა, სატრანსპორტო მომსახურება). დაიხარჯა 2353,86 (ორიათასსამასორმოცდაცამმეტი ლარი და ოთხმოცდაექვსი თეთრი) ლარი.
- ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალ „TOP TEEN & CHILD MODEL OF HTE PLANET“ 2019-ში მონაწილეთა და წარმომადგენელთა მასპინძლობა ქედაში; (გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ზენდიდი 2015“. 2019 წლის 10 სექტემბერს გაფორმდა N177 ხელშეკრულება. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა ქ. ბათუმიდან ქედის მიმართულებით ექსკურსია მახუნცეთის ჩანჩქერზე, ქედის ისტორიულ მუზეუმში, ქედის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში. ღონისძიების ფარგლებში მონაწილეთა გადაეცა (40 ბავშვი) ფასიანი საჩუქრები, ხოლო ქედის ფრიდონ ხალვაშის სახელობის პარკში მოეწყო კონცერტი. უზრუნველყოფილი იყო სტუმრების 80 კაცის კვებითი მომსახურება.) დაიხარჯა 2679,79 (ორიათასექვსასამოცდაცხრამეტი ლარი და სამოცდაცხრამეტი თეთრი) ლარი.
- ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრთა ექსკურსია ვარძიასა და რაბათში; (გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა ინდ. მეწარმე ზაურ შავიშვილი. 2019 წლის 17 სექტემბერს გაფორმდა N186 ხელშეკრულება. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა 20 კაცის სატრანსპორტო მომსახურება (ქედა,-ვარძია-რაბათი-ქედა), კვება, ღამის თევა). დაიხარჯა 1489,40 (ათასოთხასოთხმოცდაცხრა ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი.
- სახალხო ზეიმი „შემოდგომა ქედაში“; გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული ინდ. მეწარმე ზაურ შავიშვილი. 2019 წლის 04 ოქტომბერს გაფორმდა N194 ხელშეკრულება. (ღონისძიების ფარგლებში მოეწყო გამოფენა/გაყიდვა ფრიდონ ხალვაშის სახელობის პარკში, აგრო ბაზრობა, მოეწყო საგამოფენო კუთხეები: აჭარული კერძების მომზადების, ღვინის დაწურვისა და ჭაჭის გამოხდის, ჭიბონის, ხეზე კვეთის, თამბაქოს ჭრის, გიდელის, გოდრისა და ბადის ქსოვის იმიტაციები, ეთნოგრაფიული და სამუზეუმო ექსპონანტების, ფოტოებისა და პუბლიკაციების გამოფენები, მოეწყო ნობათის კუთხე - „შემოდგომის ნატურმორტი“, გამოფენების პარალელურად გაიმართა საბავშვო ღონისძიებები, საპატო ქედელეების დაჯილდოების ცერემონია,

ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი, რთველი და ტრადიციისამებრ ღვინის დაწურვის ცერემონია, ჩატარდა სპორტული აქტივობები ქართულ ჭიდაობაში, კიკბოქსინგსა და ნარდში. დაიხარჯა 9999,87 (ცხრაათასცხრაასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ოთხმოცდაშვიდი თეთრი) ლარი.

- მოწვეული სტუმრების მასპინძლობა ქედაში, მუნიციპალიტეტის კულტურული ძეგლების, ტურისტულად საინტერესო ადგილების მონახულება; გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული ინდ. მეწარმე ზაურ შავიშვილი. 2019 წლის 04 ოქტომბერს გაფორმდა N194 ხელშეკრულება. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა ტურისტულად საინტერესო ადგილების მონახულება, სატარნსპორტო მომსახურება 10 კაცი, ღამისთევა, კვებით უზრუნველყოფა. დაიხარჯა 2099,95 (ორიათასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის მიერ 2019 წელს ახალგაზრდობის ხელშეწყობის პროგრამის, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ წლიური ანგარიში

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 03

პროგრამის დასახელება:

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

დაწყება-01 იანვარი 2019 წელი

დამთავრება- 31 დეკემბერი 2019 წელი

პროგრამის მიზანი:

ახალგაზრდობის გააქტიურება და სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება, ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზება და მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა

პროგრამის აღწერა:

ახალგაზრდული ღონისძიებების მხარდაჭერა;

პროგრამის ბიუჯეტი

13 810 ლარი

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

შექმნილია ახალგაზრდების განვითარებაზე ორიენტირებული გარემო, უზრუნველყოფილია ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა და ხელშეწყობილია მათი სამოქალაქო ინიციატივები

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 03 01

ქვეპროგრამის დასახელება:

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა;

არის ქვეპროგრამა ახალი? კი/ არა

თუ ქვეპროგრამა ახალია, ვინ წარმოადგინა?

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური

დაფინანსების წყარო

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	13 810
სახელმწიფო ბიუჯეტი	0
სულ ქვეპროგრამა	13 810

ქვეპროგრამის მიზანი:

ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-შემეცნებით პროექტებში ჩართვა და მხარდაჭერა

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (2018 წლის 28 დეკემბრის №49 დადგენილება) N49 დადგენილებით დამტკიცებულია ახალგაზრდობის ხელშეწყობის პროგრამა, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებულია შემდეგი ღონისძიებები:

1. მუნიციპალური პირველობა იუმორისტულ და საზრიან საჯარო სკოლის გუნდებს შორის, დაიხარჯა 3487 (სამიათასოთხასოთხმოცდაშვიდი)ლარი.

ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა ქედის მუნიციპალიტეტის 5 საჯარო სკოლის გუნდები. უჩხითის, სოფელი მახუნცეთი, ქედის, მერისის და წონიარისის გუნდები, პროგრამით გათვალისწინებული იყო სარეჟისორო ხარჯები ანუ მოხდა გუნდების მომზადება სკოლაში, ხოლო დასკვნით ფინალური თმაში გაიმართა ააიპ ქედის კულტურის ცენტრში, გამოვლინდელ გამარჯვებული საპრიზო ადგილზე სკოლის გუნდი, გამოვლინდა საუკეთესო მოთამაშე გოგონებს და ვაჟებს შორის, ღონისძიების მიზანია პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდებს კრეატიული აზროვნების განვითარებაში და მათ მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებში.

2. ტრენინგ-სემინარი ახალგაზრდებისათვის-დაიხარჯა 396 (სამასოთხმოცდათექვსმეტი) ლარი.

ტრენინგი გაიმართა თემაზე ბულინგი, ტრენინგ ესწრებოდა სხვადასხვა სკოლის 25 ბენეფიციარი. შეხვედრა გაიმართა კითხვა პასუხის რეჟიმში, ტრენინგ უძღვებოდა მოწვეული სპეციალისტი.

3. კითხვის კონკურსი ინგლისურ ენაში-დაიხარჯა 1485(ათასოთხასოთხმოცდახუთი) ლარი.

კონკურსში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოწავლეები, სულ დაყოფილი იყო 4 ასაკობრივ ჯგუფად ანუ V-VI, VII-VII, IX-X, XI-XII კლასების მიხედვით, თავდაპირველად მოხდა წერილობითი დავალება, მოხდა ნაშრომების გასწორება, მეორე ეტაპზე გადასული მოსწავლეებმა მათი ნაშრომების პრეზენტაცია, სადაც გამოვლინდნ გამარჯვებულები, სულ მეორე ეტაპზე გადავიდა 30 მოსწავლე, გამარჯვებულ მოსწავლეებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები, ასევე მონაწილეებს მონაწილეებს სერთიფიკატები, სულ კონკურსში მონაწილეობას ღებულობდა 180-მდე მოსწავლე. ღონისძიების მიზანია ახალგაზრდებში წიგნისადმი სიყვარულის გაზრდა და ინგლისური ენის პოპულარიზაცია.

4. ლაშქრობის მოწყობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე -დაიხარჯა 492

(ოთხასოთხმოცდათორმეტი) ლარი და 80 თეთრი.

ლაშქრობაში მონაწილეობას ღებულობდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები 25 ახალგაზრდა, ახალგაზრდებმა მოინახულეს ცივასულას ციხე და მიწის ხიდი, ღონისძიების მიზანია ახალგაზრდებში ცნობადობის ამაღლება ისტორიული და ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ.

5. აჭარის ჩემპიონატი ინტელექტუალურ თამაშში რა? სად? როდის-დაიხარჯა 385

(სამასოთხმოცდახუთი) ლარი.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მუნიციპალიტეტში გამარჯვებული სამი საჯარო სკოლის გუნდის მომსახურების ორგანიზება ქ. ბათუმში. უზრუნველყოფილი იყო სატრანსპორტო და კვებით მომსახურება.

6. გაიცანი საქართველი-ახალგაზრდების ექსკურსია სამცხე ჯავახეთში-დაიხარჯა 2500

(ორიათასხუთასი) ლარი.

ღონისძიების ფარგლებში ახალგაზრდებ დაათვალიერეს სამცხე-ჯავახეთში ღირსშესანიშნავი ადგილები-რაბათი, ვარძია, აბასთუმნის ობსერვატორია და სხვა. პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იყო, სატრანსპორტო მომსახურება, კვება, ღამისთევა და ბილეთები ტურუნველყოფა.

7. სთრით არტი (თავისუფალი პროექტების დაფინანსება-დაიხარჯა 1485

(ათასოთხასოთხმოცდახუთი) ლარი.

ღონისძიება ითვალისწინებდა ახალგაზრდების ინიცირებული პროექტების დაფინანსებას. ახალგაზრდების მიერ შემოტანილი იქნა პროექტი ქუჩის მხატვრობასთან დაკავშირებით, მერიამ დააფინანსა მათ მიერ შემოტანილი პროექტი და ახალგაზრდების ინიციატივით დაბა ქედის ცენტრის კედელი მოიხატა: სლოგანით „ნუ დაყრი ნაგავს ქუჩაში,“ სადაც აქტიურად იყვნენ ჩართულები მოსწავლეებიც.

8. ახალგაზრდა დამწყებ პოეტებთან შეხვედრის ორგანიზება. დაიხარჯა 799,92 (შვიდასოთხმოცდცხრამმეტი ლარი და 92 თეთრი) ლარი.

ღონისძიება ესწრებოდა 40 ახალგაზრდა, ღონისძიების ფარგლებში დაიგეგმა ახალგაზრდა დამწყებ პოეტებთან შეხვედრა, მათ ახალგაზრდებს გააცნეს თავიანთი შემოქმედება დასასრულს კი პოეტებმა და ახალგაზრდება დაათვალიერეს სოფ: გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლ მუზეუმი.

9. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღვნიშვნა-დაიხარჯა 946 (ცხრაასორმოცდაექვსი) ლარი.

ღონისძიების ფარგლებში ქედელმა ახალგაზრდება მონაწილეობა მიიღეს ქ. ბათუმში ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კონცერტში სულ 40 ახალგაზრდა, ღონისძიება უზრუნველყოფილი იყო სატრანსპორტო და კვებითი მომსახურებით.

10. ტრენინგ-სემინარი ახალგაზრდებისათვის-დაიხარჯა 503,80 (ხუთასსამი ლარი და 80 თეთრი) ლარი.

ტრენინგი გაიმართა თემაზე თვითმართველი ერთეული საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები, ტრენინგ ესწრებოდა სხვადასხვა სკოლის 25 ბენეფიციარი. შეხვედრა გაიმართა კითხვა პასუხის რეჟიმში, ტრენინგ უძღვებოდა მოწვეული სპეციალისტი.